პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 200 (5490)

1975 წ. 8 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სპორტსმენი ქალი

სპორტსმენი ქალი! რა ამაყად ჟღერს ეს ორი სიტყვა, როგორი პატივისცემით ვართ გამსჭვალული იმ ქალის მიმართ, ვინც ეზიარა სპორტს, ვინც ძალა და ენერგია არ დაიშურა, რომ დიდ სარბიელზე გამოსულიყო, მრავალ პასუხსაგებ ასპარეზობაში მოხვეჭილი გამარჯვებებით ესახელებინა აღმზრდელი, კოლექტივი, რესპუბლიკა...

რამდენჯერ მოვხიბლულვართ სახელმოხვეჭილი სპორტსმენის ნინო დუმბაძის სწორუპოვრობით, რამდენჯერ გავუხარებივართ ელენე გოკიელის ტრიუმფულ გამოსვლებს სარბენ ბილიკებზე, ნადეჟდა დვალიშვილის უზადო ტექნიკას და გამარჯვებისკენ დაუოკებელ სწრაფვას, მზია ჯუღელისა და გალინა შარაბიძის ბრწყინვალე ილეთებს ტანვარჯიშულ იარაღებზე, ალისა ასიტაშვილისა და მისი მეგობრების ცეცხლოვან თამაშს...

დიახ, ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობდა შესანიშნავი სპორტსმენი ქალებით, რომლებიც დიდების შარავანდედით მოსავდნენ ქართულ სპორტს. მათი განუმეორებელი გამოსვლები, სპორტული გმირობა აღაფრთოვანებდა არა მარტო რესპუბლიკის, არა მარტო საბჭოთა ქვეყნის, არამედ უცხოეთის სპორტის მოყვარულებს. ახალგაზრდობის ჩინებული აღმზრდელები, დედები, ისინი უანგაროდ ემსახურებოდნენ სპორტს, სარბიელზე თავდადებით იბრძოდნენ, რომ ესახელებინათ სამშობლო. რად ღირს თუნდაც ცნობილი მძლეოსნის ლამარა ტუღუშის მაგალითი. უკვე ვეტერანი, რამდენიმე შვილის დედა როდი უშინდებოდა საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებთან ასპარეზობას. მან სსრ კავშირის ხალხთა ექსივე სპარტაკიადაში მიიღო მონაწილეობა და თავისი წვლილი შეჰქონდა საქართველოს სპორტული დელეგაციის ყულაბაში. ლამარამ იმდენად შეისისხლხორცა სპორტი, დიდხანს ვერ მიატოვა სარბიელი, ერთხანს თავის ქალიშვილთან ერთად მონაწილეობდა შეჯიბრებებში.

ჩვენ იმის მოწმენიც ვყოფილვართ, თუ რა მედგარ მეტოქეობას უწევდნენ საქართველოს კალათბურთელი და ფრენბურთელი ქალები საქვეყნოდ ცნობილ კოლექტივებს. ჩვენი წარმომადგენლები რეგულარულად გამოდიოდნენ საკავშირო ნაკრებ გუნდებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში. გავიხსენოთ, რაოდენ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენი დედაქალაქის სპორტის მოყვარულთა ფართო აუდიტორია 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა სპარტაკიადის საინტერესო ბატალიებს. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ჩვენი სპორტის ისტორიის კუთვნილება გახდა.

ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ელის შესანიშნავი მოჭადრაკე ქალების — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილისა და სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის ნ. ალექსანდრიას მატჩს მსოფლიო პირველობაზე. გვახარებს ნორჩი მოჭადრაკე გოგონების მ. ჩიბურდანიძის, ნ. იოსელიანის, ნ. გურიელის წარმატებები.

ქებას იმსახურებენ ტანმოვარჯიშეები ნ. დრონოვა, რ. სიხარულიძე, მშვილდოსანი ქ. ლოსაბერიძე, მაგრამ გამოჩენილ სპორტსმენ ქალთა სია ძალიან მოკლეა და მდგომარეობის გამოსწორებისთვის კი ცოტა კეთდება.

ქალთა სპორტი ჩვენში ერთგვარად ჩაკვდა. რაც დრო გადის, მით უფრო მცირდება ქალების რიცხვი სპორტის სექციებში. აბა გადახედეთ, რესპუბლიკის რაიონების სპორტულ ცხოვრებას და მაშინვე დარწმუნდებით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს ამ თემაზე რომ ჩამოუგდებ სიტყვას, ორ-სამ სპორტსმენ ქალს დაგისახელებენ. ეს არის და ეს.

ყოველწლიურად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ათასობით გოგონა შედის განათლების მისაღებად. მათ შორის, რასაკვირველია, სპორტსმენებიც არიან, მაგრამ ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ ახალგაზრდების დაოსტატებას, დიდ სარბიელზე გაყვანას. უმაღლესი სასწავლებლების სპორტის მესვეურები მხოლოდ იმის ზრუნვაში არიან, რომ სპორტში მათთან მოპაექრე კოლექტივებს არ ჩამორჩნენ. ფიზკულტურა და სპორტი იქ ვიწრო ჩარჩოშია მოქცეული და ეს ტრადიცია წლიდან წლამდე გრძელდება.

უკეთესი მდგომარეობა არც საშუალო და რვაწლიან სკოლებშია. აქ უფრო ჭაბუკები მძლავრობენ, გოგონები კი რატომღაც ჩრდილს არიან შეფარებული. ამის მიზეზად სპორტული ბაზების, ინვენტარის ნაკლებობას ასახელებენ. მაგრამ მიზეზი ესეც არის და ბევრი სხვაც.

ჩვენში ძალიან სუსტია ქალთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა, გოგონებში ფართოდ ვერ ვნერგავთ ამ საჭირო და სასარგებლო საქმისადმი სიყვარულს. ზოგჯერ, როცა გოგონას არ ესმის სპორტის ცხოველმყოფელი ძალა, ჩვენც განზე ვდგავართ, გულდამშვიდებით ვუყურებთ, როგორ მცირდება სპორტულ სექციებში მომეცადინე ქალთა რიცხვი, თუ როგორ ვმარცხდებით იმ ქალაქებისა და რესპუბლიკების გუნდებთან, წინა წლებში ჩვენგან რომ სწავლობდნენ ბევრ რამეს.

მოსალოდნელი იყო, რომ 1975 წელს, ქალის საერთაშორისო წელს, რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ქალთა შეჯიბრებების სპეციალურ კალენდარსაც კი შეადგენდნენ, საინტერესო ასპარეზობებს გამართავდნენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მსგავსი არაფერი მომხდარა.

ფიზკულტურასა და სპორტში ქალების მიზიდვის საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარდეს! რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მკვეთრად უნდა გარდაქმნან ქალებთან მუშაობა, რაც შეიძლება მეტი გოგონა ჩააბან სპორტულ საქმიანობაში. საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ ჩვენი რესპუბლიკა კვლავ ამაყობდეს ახალი დუმბაძეებით, გოკიელებით, ჯუღელებით, შარაბიძეებით, დვალიშვილებითა და ლეკვეიშვილებით...

თბილისის ნორჩი დინამოელის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა კარგადაა ცნობილი რესპუბლიკაში. გამოცდილი პედაგოგებისა და მწვრთნელების ხელმძღვანელობით აქ ვარჯიშობს 8-დან 17 წლის ასაკის 250 ბავშვი. „დინამოს" ნორჩ ფეხბურთელებს არაერთხელ მოუპოვებიათ წარმატებები რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში, აქ აიდგა ფეხი ბევრმა ცნობილმა ოსტატმა, რომლებიც შემდეგ მაღალი კვალიფიკაციის გუნდებში გამოდიოდნენ.

ნორჩი დინამოელის აღსაზრდელებთან მუშაობენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. გაგუა, ს. კოტრიკაძე, სპორტის ოსტატი ბ. სიჭინავა, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ო. უშვერიძე და სხვ.

გ. დიორტაინი.

• • •

სურათებზე: საწვრთნელ მეცადინეობაზე მიეშურებიან; სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. კოტრიკაძე მეცადინეობს მომავალ მეკარეებთან; თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი ბ. სიჭინავა ტექნიკურ ელემენტს აჩვენებს მომეცადინეებს; ვარჯიში ბურთის შემოტარებაზე.

ფ. კრიმსკისა და გ. კიკვაძის ფოტოები.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უხდება სხეულსაც და სულსაც

„ლელოს" მკითხველებისთვის ცნობილია, რომ სსრ კავშირის ბადმინტონის ფედერაცია წლეულს ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) წევრი გახდა, რითაც დასაბამი მიეცა საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლებს მთელ რიგ ოფიციალურ შეჯიბრებებში.

დებიუტი იმედის მომცემი აღმოჩნდა: საბჭოთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა მალაიზიაში, ხოლო ჭაბუკთა გუნდმა კოპენჰაგენში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მესამე ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავა და გაისად მეორე ქვეჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ბადმინტონის ასეთმა პოპულარიზაციამ დღის წესრიგში დააყენა მისი შემდგომი განვითარების საკითხი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა ბადმინტონის ფედერაციასთან ერთად სათანადო ღონისძიებანი დასახა და პირველი ნაბიჯებიც გადადგა: უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 სკოლის ბაზაზე შეიქმნა თბილისის, ბათუმისა და სოხუმის ბადმინტონისტთა ჯგუფები. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოძმე რესპუბლიკათა შესაბამის დაწესებულებებს შორის ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა ბადმინტონი მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში და მატერიალური ბაზის შესაქმნელად განზრახული აქვს სპორტული ჯგუფების გახსნა მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში. ბადმინტონისტთა აღზრდას ემსახურება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო, ხოლო წლეულს დასაბამი მიეცა „შრომითი რეზერვების" საქალაქო და რესპუბლიკური პირველობის ჩატარებასაც.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება საუბარი სპორტის ამ ახალი სახეობის შინაარსისა და მისი, როგორც ფიზიკური დატვირთვის საშუალების შესახებ.

გვესაუბრებიან ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი შ. ნადირაშვილი და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის მთავარი სპეციალისტი, დოცენტი ო. დედაბრიშვილი.

შ. ნადირაშვილი: ბადმინტონი სპორტის იმ სახეობათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც სპორტსმენისგან ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიულ შერწყმას მოითხოვენ. ბადმინტონის წარმატებით დაუფლებისთვის საჭიროა მაღალი ფიზიკური მომზადება, მოძრაობათა კოორდინაციის კარგი უნარი და განსაკუთრებით კარგი ორიენტაცია სივრცეში. შეუძლებელია ადამიანი დამაკმაყოფილებლად ფლობდეს ბადმინტონს, თუ ის თამაშის პროცესში სწრაფად ვერ აღიქვამს თუ რა პოზიციაშია მისი მეტოქე და არ იყენებს ამას. ვისაც საკმარისად განვითარებული არა აქვს სივრცითი ორიენტაციის უნარი, განსაკუთრებით უჭირს თამაში. აღსანიშნავია, რომ ბადმინტონის თამაში თვითონაა სივრცითი ორიენტაციის, მოძრაობათა კოორდინაციის, სწრაფი მოსაზრებულობისა და სიტუაციური აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბადმინტონის თამაში ფიზიკურ და აზრობრივ განვითარებას გულისხმობს. ამიტომ, ბადმინტონი რაც შეიძლება მასობრივ სახეობად უნდა გადავაქციოთ. ბადმინტონი დიდ სპორტულ ბაზებს არ მოითხოვს და ამავე დროს თამაში ნებისმიერ ასაკში შეიძლება.

ო. დედაბრიშვილი: სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა მკვეთრად შეამცირა ბავშვთა და მოზარდთა მოძრაობითი აქტივობა. დღევანდელი მოსწავლეების გარკვეული ნაწილი სრულიად არ ეტანება ფიზკულტურასა და სპორტს. ბავშვები გაკვეთილების მომზადების შემდეგ დარჩენილ თავისუფალ დროს ძირითადად ტელევიზორებთან ატარებენ, ფეხით ნაკლებად დადიან, ფართოდ სარგებლობენ ლიფტით... ესე იგი თავისი ცხოვრების უმეტეს დროს ისინი მჯდომარე ატარებენ. მოძრაობითი აქტივობის მკვეთრი შეზღუდვა და ფიზიკური ვარჯიშების შემცირება კი ხელს უწყობს კუნთოვანი ქსოვილის ცხიმოვან გადაგვარებას, გასუქებასა და ორგანიზმის დაჩაჩანაკებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაუშვებელია მოზარდის სპორტის ერთ რომელიმე სახეობაში ვიწრო სპეციალიზაცია, ეს ცალმხრივ განვითარებას იწვევს. ბიჭებს, უმეტესად უფროსკლასელებს, ბუნებრივია გულით სურთ ჰქონდეთ კარგად განვითარებული კუნთები და მოხდენილი აღნაგობა. ამიტომ ისინი ხშირად მიმართავენ ძალისმიერ ვარჯიშს ჰანტელებით, ესპანდერებით, მაგრამ თუ ამას არ შეუთავსებენ სხვა სახის ვარჯიშებს, შეიძლება ზიანიც კი მოუტანონ საკუთარ სხეულს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ცალმხრივად ვითარდება ცალკეული ჯგუფების კუნთები. ეს უარყოფითად მოქმედებს სასუნთქ და სისხლის მიმოქცევის ორგანოებზე: ორგანიზმში იქმნება გარკვეული შეუსაბამობა ერთი მხრივ ძლიერად განვითარებულ ცალკეულ ჯგუფების კუნთებსა და მეორე მხრივ შედარებით განუვითარებელ გულსა და სასუნთქ ორგანოებს შორის.

(დასასრული მე-3 გვ.).

მსოფლიო თასი — საბჭოთა აკრობატებს

ვიდნაუ, 6 ოქტომბერი. შვეიცარიის ამ პატარა ქალაქში გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშება აკრობატიკაში. საუცხოოდ იასპარეზეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა, რომლებმაც ოქროს მედლების ექვსი კომპლექტიდან ხუთი მოიგეს, მხოლოდ შეჯიბრების პროგრამის ერთ სახეობაში — ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში დათმეს პირველობა.

ტურნირმა მთელი სამყაროს ყველა უძლიერეს ათლეტს მოუყარა თავი.

აი, გამარჯვებული საბჭოთა აკრობატები: ხტომაში — ზიკუნოვი და მასლობოიშჩიკოვა, წყვილთა ვარჯიშში — ალიმანოვი და ნაზაროვი, კრავცოვა და კუზნეცოვი, ოთხეულთა შეჯიბრებაში — ზოლოტოვი, მაკაროვი, ვილდანოვი, სლეპოკუროვი.

საქართველოს პროფკავშირების სპარტაკიადა

სტარტის სიხარული და სინანული

ჩვენმა წყალში მხტომელებმა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში უფერული გამოსვლით ერთობ დაგვწყვიტეს გული. მათგან უკეთეს შედეგებს ველოდით. ოპტიმიზმის საფუძველი მართლაც გვქონდა. იმედს სპარტაკიადამდელი სტარტები გვაძლევდა. ჩვენი იმედი უსაფუძვლო რომ არ გახლდათ, ეს ერთი თვის წინათ თბილისში გამართულმა სსრ კავშირის თასის გათამაშებამაც (ქალთა შორის) დაადასტურა. შეგახსენებთ, მაშინ თბილისელებმა ლ. ფირალიშვილმა და ს. ნიკოლოტოვამ ჩინებულად იასპარეზეს: ლარისამ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მოიპოვა თასი, ხოლო სვეტლანას მხოლოდ ვოლგოგრადელმა ტ. უსაჩოვამ აჯობა კოშკიდან ხტომაში.

აქვე გვინდა შევახსენოთ ჩვენი ნორჩი წყალში მხტომელების ს. შალიბაშვილის, ლ. გონგაძის, ლ. ცოტაძის, ი. გუტიაკულოვასა და სხვათა მიღწევები საკავშირო სარბიელზე.

ეს პატარა ექსკურსი იმისთვის დაგვჭირდა, რომ წყალში მხტომელებში, განსაკუთრებით ნორჩებს შორის, ერთგვარი გამოცოცხლება გვეჩვენებინა. დიახ, დღეს საიმედო ნორჩები გვყავს...

ზემოთქმული გასულ კვირას დამთავრებულმა შეჯიბრებამაც დაადასტურა. წყალში მხტომელთა ეს ასპარეზობა საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის სტარტზე მოგვევლინა და სიხარულთან ერთად... სინანულიც მოგვიტანა.

ორიოდე სიტყვა იმაზე, რამაც გაგვახარა: შეჯიბრებაში თბილისის მე-13 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლემ ი. გუტიაკულოვამ 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც (380,13 ქულა) შეასრულა. 11 წლის გოგონასთვის ასეთი წარმატება ერთობ სასიამოვნო ფაქტია. ამავე სახეობაში სპორტის ოსტატობის კანდიდატები გახდნენ ლ. ცოტაძე და ლ. გონგაძე. პირველი 14, ხოლო მეორე 11 წლისაა.

ეს განთიადელი გოგონები სულ ნორჩები არიან და თუ მთელი სერიოზულობით, გულდაგულ ივარჯიშებენ, ცხადია, უფრო მაღალ მწვერვალებსაც დაიპყრობენ.

შეჯიბრებაში კიდევ ორმა სპორტსმენმა — ა. სოლდატოვმა და ა. გორგასლანიძემ მიაღწიეს სპორტის ოსტატის შედეგებს 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ეს ვაჟებიც განთიადელები არიან.

ახლა კი ორიოდე სიტყვა იმაზე, რამაც დაგვაღონა: პირად შეჯიბრებაში მონაწილეთა რაოდენობა სულ რაღაც ორი ათეული იყო. კიდევ უფრო მცირე იყო მონაწილე გუნდების რიცხვი. აი, ისინიც: „განთიადი", „ლოკომოტივი", „ბურევესტნიკი" და... მეტი არავინ. რომელი ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენები შედიოდნენ ამ გუნდებში? მხოლოდ... თბილისელები. ესეც თქვენი რესპუბლიკური შეჯიბრება! თუმცა, ამაში საკვირველი არაფერია. მსგავს ამბავს მიჩვეული ვართ. აბა, რა აზრი ჰქონდა ბათუმელი, სოხუმელი და ქუთაისელი (ეს ის ქალაქებია, სადაც ასე თუ ისე წყალში ხტომა დანერგილია) სპორტსმენების გუნდებში შეყვანას? ისინი საწვრთნელი მეცადინეობის ცუდი პირობების გამო კარგი ამინდის შემყურე არიან და ახლა წარმოიდგინეთ მათი მომზადების დონე.

ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ცოტაძეს ეულად მოუხდა კოშკიდან ხტომა. ამას კიდევ ერთი მიზეზიც ჰქონდა. ამ სახეობაში შეჯიბრება მეორე დღეს ჩატარდა და წინა დღეს ცუდი ამინდის გამო შეჯიბრების ბევრი მონაწილე გაცივდა.

ა. გურასაშვილი.

ტექნიკური შედეგები

ქალები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ი. გუტიაკულოვა — 380,13 ქულა, ლ. ცოტაძე — 364,89, ლ. გონგაძე — 345,98; კოშკი. ცოტაძე—233,40.

ვაჟები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ა. სოლდატოვი — 493,89, ა. გორგასლანიძე — 447,13, რ. არუთინოვი („ლოკომოტივი") — 428,85; კოშკი. ს. ვართანოვი („განთიადი") — 407,49, არუთინოვი—377,28, ს. ელბაქიძე („განთიადი") — 353,83.



სურათებზე: ზემოთ — ი. გუტიაკულოვა; ს. ვართანოვი ასპარეზობის დროს; ლ. გონგაძე და ლ. ცოტაძე.

ავტორის ფოტოები.

მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდები

1975 წლის 8 ოქტომბრისთვის

ძალოსნობა

წონა	კგ	სპორტსმენი და ქვეყანა	დამყარების წელი
		ატაცი	
უმსუბუქესი (52 კგ)	108*	ზ. ტაკეუჩი (იაპონია)	1975
	107,5	ა. ვორონინი (სსრ კავშირი)	1975
მჩატე (56 კგ)	117,5	კ. მიკი (იაპონია)	1973
	113	ვ. ანიკინი (სსრ კავშირი)	1975
ქვემსუბუქი (60 კგ)	128	გ. ტოდოროვი (ბულგარეთი)	1975
	123	ნ. კოლესნიკოვი (სსრ კავშირი)	1975
მსუბუქი (67,5 კგ)	138	ი. დერგაჩოვი (სსრ კავშირი)	1975
ქვესაშუალო (75 კგ)	153*	ნ. კოლევი (ბულგარეთი)	1975
	145,5	ვ. სმირნოვი (სსრ კავშირი)	1975
საშუალო (82,5 კგ)	165,5	ვ. შარიი (სსრ კავშირი)	1975
ქვემძიმე (90 კგ)	178	დ. რიგერტი (სსრ კავშირი)	1974
მძიმე (110 კგ)	180*	ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი)	1975
	177,5	ვ. პერვუშინი (სსრ კავშირი)	1973
უმძიმესი (110 კგ-ს ზევით)	195	ხ. პლაჩკოვი (ბულგარეთი)	1975
	187,5	ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი)	1974
		აკვრა	
უმსუბუქესი	140	მ. ნასირი (ირანი)	1973
	135	ა. ვორონინი (სსრ კავშირი)	1975
მჩატე	151	მ. ნასირი (ირანი)	1973
	147,5	ა. კიროვი (ბულგარეთი)	1973
	145,5	ვ. ანიკინი (სსრ კავშირი)	1974
ქვემსუბუქი	161	ნ. კოლესნიკოვი (სსრ კავშირი)	1975
მსუბუქი	177,5	მ. კირჟინოვი (სსრ კავშირი)	1972
ქვესაშუალო	190	ნ. კოლევი (ბულგარეთი)	1973
	187,5	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	1968
საშუალო	203,5	ვ. შარიი (სსრ კავშირი)	1975
ქვემძიმე	217,5	დ. რიგერტი (სსრ კავშირი)	1975
მძიმე	237,5*	ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი)	1975
	235*	ი. ზაიცევი (სსრ კავშირი)	1975
უმძიმესი	245,5*	ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი)	1975
		ორჭიდი	
უმსუბუქესი	242,5	ა. ვორონინი (სსრ კავშირი)	1975
მჩატე	260	ა. კიროვი (ბულგარეთი)	1974
	255	ვ. ანიკინი (სსრ კავშირი)	1974
ქვემსუბუქი	285*	გ. ტოდოროვი (ბულგარეთი)	1975
	280	ნ. კოლესნიკოვი (სსრ კავშირი)	1975
მსუბუქი	312,5	მ. კირჟინოვი (სსრ კავშირი)	1972
ქვესაშუალო	340	ნ. კოლევი (ბულგარეთი)	1974
	330	ვ. მილიტოსიანი (სსრ კავშირი)	1975
საშუალო	365	ვ. შარიი (სსრ კავშირი)	1975
ქვემძიმე	395	დ. რიგერტი (სსრ კავშირი)	1975
მძიმე	417,5*	ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი)	1975
	407,5*	ი. ზაიცევი (სსრ კავშირი)	1975
უმძიმესი	427,5*	ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი)	1975

შენიშვნა: * აღნიშნულია მოსკოვის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატში დამყარებული რეკორდები.

* * *

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის მოსკოვიდან გადმოცემული ანგარიშების ტექნიკურ შედეგებში მოყვანილი იყო მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები. ევროპის ჩემპიონატის შედეგებიც ისეთივე იყო პატარა განსხვავებით:

52 კგ. ატაცი. 1. ზ. ხმალეცკი (პოლონეთი) — 105, 2. ლ. სიუჩი (უნგრეთი) — 100, 3. ა. ვორონინი (სსრ კავშირი) — 100.

60 კგ. ატაცი. 1. ნ. კოლესნიკოვი (სსრ კავშირი) — 125, 2. გ. ტოდოროვი (ბულგარეთი) — 125, 3. ი. ბენედეკი (უნგრეთი) — 122,5; აკვრა. 1. ტოდოროვი — 160, 2. ა. პავლაკი (პოლონეთი) — 155, 3. კოლესნიკოვი — 152,5.

* * *

გაგაცნობთ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის გუნდურ შედეგებს.

მსოფლიოს: 1. სსრ კავშირი — 90 ქულა, 2. ბულგარეთი — 78, 3. პოლონეთი — 62, 4. გდრ — 55, 5. უნგრეთი — 48, 6. ჩეხოსლოვაკია — 32, 7. იაპონია — 23, 8. გფრ — 21, 9. ფინეთი — 18, 10. აშშ — 11, 11. შვეცია — 10, 12. საბერძნეთი — 9, 13. საფრანგეთი — 9, 14. შვეიცარია — 7. 15. ავსტრია — 6, 16. თურქეთი — 6, 17. სამხრეთ კორეა — 6, 18. რუმინეთი — 6, 19. ესპანეთი — 5, 20. იუგოსლავია — 4, 21. დიდი ბრიტანეთი — 2, 22. ახალი ზელანდია — 2, 23. ავსტრალია — 1, 24. ირანი — 1 (დანარჩენმა ქვეყნებმა ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს);

ევროპის: 1. სსრ კავშირი — 90, 2. ბულგარეთი — 78, 3. პოლონეთი — 63, 4. გდრ — 55, 5. უნგრეთი — 49, 6. ჩეხოსლოვაკია — 37, 7. გფრ — 26, 8. ფინეთი — 19, 9. საფრანგეთი — 17, 10. საბერძნეთი — 15, 11. შვეცია — 15, 12. რუმინეთი — 8, 13. შვეიცარია — 7, 14. ავსტრია — 7, 15. თურქეთი — 7, 16. ესპანეთი — 5, 17. იუგოსლავია — 4, 18. დიდი ბრიტანეთი — 3, 19. ნორვეგია — 1 (დანარჩენმა ქვეყნებმა ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს).

ეს კი მეტისმეტია!

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი ფინიშს უახლოვდება — ორი დღის შემდეგ უნდა გამოვლინდეს პირველი ექვსეული, რომელიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს. ამიტომ, ცხადია, ყოველ ქულას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ თბილისის „დინამომ" სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა, გუშინწინ კი ლვოველ თანაკლუბელებთან მორიგი მატჩის წაგებით (4:6) მან კიდევ ორი საფეხურით უკან დაიხია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლვოველებმა მიმდინარე ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვეს. ახლა თბილისელებს ალმა-ათის „დინამომ" და ტაშკენტის „მეხნატმაც" გაუსწრო. ალმაათელებმა სძლიეს კიევის „დინამოს" — 6:5, ხოლო „მეხნატმა" მინსკის „ბურევესტნიკს" მოუგო — 2:1.

საინტერესო იყო საბჭოთა წყალბურთის ორი ლიდერის — მოსკოვის უნივერსიტეტისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდების მატჩი, რომელიც მეზღვაურებმა მოიგეს — 7:6.

ორი შეხვედრა ფრედ (3:3) დამთავრდა. ასე ითამაშეს მოსკოვის „დინამომ" და ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდმა, ლენინგრადის „ბალტიკამ" და ვოლგოგრადის „სპარტაკმა".

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსფ ცსს	9	8	1	—	64—41	17
უნივერსიტეტი	9	7	—	2	49—31	14
„დინამო" მ.	9	5	3	1	52—44	13
„დინამო" კ.	9	6	—	3	58—53	12
წკფ	9	4	1	4	32—25	9
„დინამო" ა.-ა.	9	3	3	3	47—51	9
„მეხნატი"	9	3	2	4	41—49	8
„დინამო" თბ.	9	3	1	5	47—53	7
„დინამო" ლ.	9	1	3	5	35—41	5
„ბურევესტნიკი"	9	2	1	6	33—44	5
„სპარტაკი"	9	1	3	5	40—55	5
„ბალტიკა"	9	—	4	5	35—46	4

გუშინ...

დილით გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი" (მინსკი) — „დინამო" (ალმა-ათა) 2:2, „დინამო" (კიევი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 4:3, „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „დინამო" (მოსკოვი) 4:7.

ყინულის მოედნებზე

უამრავ სიურპრიზს გვთავაზობს ჰოკეისტთა საიუბილეო, XXX საკავშირო ჩემპიონატი. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის ცსკა-ს მარცხი ლენინგრადში, რომელმაც გუშინწინ ადგილობრივ ასკ-სთან წააგო — 3:5 (2:2, 1:2, 0:1). ეს მოსკოვის არმიელთა ზედიზედ მეორე წაგებაა.

შაიბები გაიტანეს: ლენინგრადელთაგან — ნახანკოვმა, ა. ანდრეევმა, შიგონცევმა, პოზდნიაკოვმა და კაზაჩკინმა, მოსკოველთაგან — მიხაილოვმა (2) და ძლუკტოვმა.

ჩელიაბინსკში ადგილობრივმა „ტრაქტორმა" ანგარიშით 5:0 (2:0, 3:0, 0:0) სძლია რიგის „დინამოს". ურალელი ჰოკეისტები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და იგი მატჩის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. ორი შაიბა გაიტანა შორინმა, ხოლო დანარჩენები — ველეცკიმ, პონომარიოვმა და მ. ბრიროდინმა. „ტრაქტორის" კარს საუცხოოდ იცავდა მეკარე გერასიმოვი. ეს გამარჯვება ზედიზედ მეოთხეა ჩელიაბინსკელთათვის.

სვერდლოვსკის ასკ-ს ჰოკეისტთა გუნდმა დანიაში ორი მატჩი ჩაატარა და ორივე მოიგო. ჯერ მან კოპენჰაგენის კსფ დაამარცხა (9:0), ხოლო შემდეგ ასევე დედაქალაქის კლუბი ჰიკ-ი — 15:3. ამ უკანასკნელს არც სხვა კლუბებიდან მოწვეულმა სპორტსმენებმა უშველეს.

ევროპის პირველობის წინ

კატოვიცეში (პოლონეთი) დამთავრდა ჭაბუკ და იუნიორ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი. სარბიელზე გამოვიდნენ პოლონეთის, სსრ კავშირის, გდრ-ის, საფრანგეთისა და გფრ-ის ათლეტები. ეს იყო ბოლო ასპარეზობა ევროპის პირველობის წინ, რომელიც ფინეთის ქალაქ ტურკუში 7-10 ნოემბერს ჩატარდება.

ბრწყინვალედ იასპარეზეს საბჭოთა ძიუდოისტებმა, რომლებმაც საერთო ჯამში 5 ოქროს და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

თავი გამოიჩინეს ჩვენმა თანამემამულეებმაც. ჭაბუკებში ჩემპიონი გახდა მძიმე წონის ათლეტი ნ. ნუგზარაშვილი, ხოლო ახალგაზრდებში პირველნი იყვნენ დ. ხაბულიანი (საშუალო წონა) და რ. ჭიკაიძე (მძიმე).

სხვა საბჭოთა ათლეტთაგან გაიმარჯვეს ელექტროსტალელმა ვ. ბუდნიკმა (ჭაბუკთა ასპარეზობაში) და კრასნოიარსკელმა ვ. ტარაკანოვმა (იუნიორებში).

ა. მარტყოფლიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ერევნის „არარატი“.

გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:1.

ბურთები გაიტანეს: დინამოელთაგან — გუცაევმა და ყიფიანმა (პენალტით), არარატელთაგან — ანდრიასიანმა.

II ლიგა I ზონა

6 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 6:1

ეს იყო ბათუმის დინამოელთა ბოლო გამოსვლა საკუთარ მინდორზე, რის შემდეგ მათ ოთხი შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი სტუმრად. გუნდმა ეს „გამოსათხოვარი“ მატჩი დიდი მონდომებით, მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა.

თამაში სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, ზუგდიდელთა მეკარე წყაროზიას კი ორი ძნელი ბურთის აღება მოუხდა ჩელებაძისა და ქიქავასგან, მაგრამ მე-15 წუთზე იგი იძულებული იყო გამოეტანა ბურთი ბადიდან, რომელიც არუთინიანმა გაიტანა წუწუნავა — ბეჟანიძე — ჩელებაძის მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ.

29-ე წუთზე ქიქავამ რეიდი წამოიწყო მინდვრის შუაგულში, მერე შორიდან დაარტყა, წყაროზიამ მოიგერია ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო ჩელებაძემ და მეორე გოლი გაიტანა, ტაიმის დასასრულს კი გორგილაძემ კარგად გამოიყენა ბეჟანიძის გადაცემა — 3:0.

ბათუმელ ფეხბურთელებს არც შესვენების შემდეგ შეუნელებიათ იერიშები. ჯერ ჩელებაძემ, ხოლო შემდეგ არუთინიანმა ანგარიში 5:0-მდე აიყვანეს.

ამის მერე სტუმრებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა კრესტიანინოვ — გადელიას კომბინაციის შემდეგ. მაგრამ ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება.

75-ე წუთზე ზუგდიდელთა კარში დაინიშნა საჯარიმო, არუთინიანმა დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან ზუსტად, ძლიერად დაარტყა და ანგარიში გახდა 6:1.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ბათუმი.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:0, „ხანკი“ (იანგიარიკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ჯიზაკი“ (ჯიზაკი) 0.0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ავტომობილისტი“ (თერმეზი) 1:0, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 1:3, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „ფახთაჩი“ (გულისტანი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იანგიერი“	32	18	8	6	60—28	44
„სტროიტელი“	32	18	4	10	64—28	40
„ხანკი“	32	15	8	9	46—37	38
„გურია“	30	14	5	11	55—46	33
„დილა“	30	14	4	12	42—37	32
„დინამო“ ბ.	30	13	5	12	48—34	31
„ლოკომოტ.“	29	13	5	11	51—43	31
„პროგრესი“	31	13	5	13	41—47	31
„დინამო“ ზ.	30	13	4	13	50—56	30
„ჯიზაკი“	30	12	6	12	34—42	30
„შირაკი“	30	12	5	13	40—45	29
„მეტალურგი“	30	11	7	12	35—47	29
„ფახთაჩი“	30	10	8	12	32—44	28
„ნეფტიან.“	30	11	5	14	33—41	27
„მერცხალი“	30	11	5	14	32—48	27
ფიზკ. ინსტ.	31	9	7	15	17—36	25
„ხაზარი“	31	8	7	16	42—61	23
„ავტომობ.“	30	8	4	18	34—46	20

[illegible]

კიეველთა დიდი გამარჯვება

ფეხბურთის მოყვარულებმა გუშინწინ იხილეს უაღრესად საინტერესო, მნიშვნელოვანი მატჩი, რომელმაც ახალი სასახელო ფურცელი ჩაწერა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში: უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე შედგა უეფა-ს სუპერთასის გათამაშების განმეორებითი მატჩი: „დინამო“ (კიევი) — „ბაიერნი“ (მიუნჰენი).

ამ შეხვედრისთვის დასავლეთგერმანელთა გუნდს აკლდა წამყვანი მოთამაშეები მიულერი და ჰიონესი, ხოლო დინამოელთა რიგებში არ იყვნენ კოლოტოვი და მატვიენკო. ასე რომ, ძალთა შეფარდება ადეკვატური დარჩა.

კიეველებმა შესანიშნავად ითამაშეს და სავსებით დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს — 2:0. მატჩის ნამდვილი გმირი იყო მასპინძელთა თავდამსხმელი ბლოხინი, რომელმაც „ბაიერნის“ კარში სამივე ბურთი (ერთი — მიუნჰენში) გაიტანა.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **„დინამო“** — რუდაკოვი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, ონიშჩენკო, ბურიაკი, ვერემეევი, ბლოხინი; **„ბაიერნი“** — მაიერი, ჰორსმანი, დიურნბერგერი (ჰანსენი), შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, როტი, ვუნდერი, შუსტერი (ტორსტენსონი), ვაისი, რუმენიგე, კაპელმანი.

მსაჯობდა დ. ბაბაჯანი (თურქეთი).

მატჩის შემდეგ

ლაპარაკობენ „ბაიერნისა“ და „დინამოს“ მწვრთნელები

— „ბაიერნის“ მთავარი ბომბარდირისა და რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნა არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს ჩვენს წაგებას, — განაცხადა მიუნჰენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა დიტმარ კრამერმა უეფა-ს სუპერთასის მეორე ფინალური მატჩის შემდეგ. — ჩვენ წავაგეთ უფრო ძლიერ გუნდთან, ამიტომ სულით და გულით ვუსურვებ წარმატებას „დინამოს“ საერთაშორისო შეჯიბრებებში. აღტაცებული ვარ ბლოხინის თამაშით. ეს, უდავოდ, მსოფლიო კლასის ფეხბურთელია და ჩემი შეხედულება არ შეიცვლებოდა მაშინაც, მას არც ერთი ბურთი რომ არ გაეტანა ამ ორ მატჩში. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს ასეთი მოთამაშე რომ გვყოლოდა გუნდში. თითქოს მიუნჰენში გატანილი „სუპერგოლის“ შემდეგ ჩვენ უნდა გვეფიქრა ბლოხინის ნეიტრალიზაციისთვის, მაგრამ გამოცდილმა შვარცენბეკმა, რომელიც ბლოხინს მეურვეობდა მიუნჰენშიც და კიევშიც, ჩემი აზრით, ყველაფერი იღონა, რაც შეეძლო და ჩემს კლუბში მასზე უკეთესად ამ ამოცანას ვერავინ გაართმევდა თავს.

— კიევის მატჩი გაცილებით უფრო შინაარსიანი იყო, ვიდრე მიუნჰენისა, — განაგრძო კრამერმა. — და ამაში უპირველესად ყოვლისა „დინამოს“ დამსახურებას ვხედავ. საბჭოთა ფეხბურთში ბევრი გუნდი იყო, რომლებიც მაღალი კოლექტივიზმით გამოირჩეოდნენ, კიეველებთან კი იგი მარჯვედაა შეხამებული მოთამაშეთა შესანიშნავ საშემსრულებლო ოსტატობასთან.

— „ბაიერნი“, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, საკმაოდ ძლიერ მეტოქეს წარმოადგენდა „დინამოსთვის“, — თქვა კიეველთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ, — და ჩვენი აზრი მის სიძლიერეზე არ შეცვლილა სუპერთასის გათამაშების ორ მატჩში განცდილი დამარცხების შემდეგაც. ორივე გუნდმა კიევში უფრო მაღალი კლასის თამაში გვიჩვენა, ვიდრე მიუნჰენში.

ლობანოვსკის კოლეგამ ო. ბაზილევიჩმა აღნიშნა:

— განმეორებით მატჩში მეტოქეებმა ორგანიზებულად ითამაშეს. მე მიძნელდება ჩვენი გუნდის თამაშის შეფასება, ხოლო რაც შეეხება „ბაიერნს“, იგი ზუსტად მოქმედებდა დაცვაში და საინტერესო საპასუხო შეტევებს ავითარებდა. ოლეგ ბლოხინი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და, უდავოდ, თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში შეუძლებელია ინდივიდუალურ თვისებათა გამოვლენა, თუ გუნდი არ წარმოადგენს კარგად ორგანიზებულ კოლექტივს.

— გაქვთ თუ არა პრეტენზიები საკუთარ მოთამაშეთა მიმართ?

— პრეტენზიები ყოველთვისაა, — გვიპასუხა ლობანოვსკიმ, — მაგრამ დღეს მათი რიცხვი ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ.

კიევის „დინამოს“ მწვრთნელებმა ისარგებლეს პრეს-კონფერენციაზე უეფა-ს პრეზიდენტის არტემიო ფრანკის დასწრებით და წინადადება წამოჭრეს სუპერთასის გათამაშება დაწესდეს ოფიციალურად და მიეცეს ტრადიციული ხასიათი.

— ასეთი მატჩები ფეხბურთის მშვენებაა, — თქვა ლობანოვსკიმ.

უეფა-ს პრეზიდენტი: „მე სუპერთასის მომხრე ვარ“

— კიევის „დინამოსა“ და მიუნჰენის „ბაიერნის“ ჩინებულმა გუნდებმა აჩვენეს მაღალი კლასი, დიდი ფეხბურთი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით,—განუცხადა საკდესის კორესპონდენტს უეფა-ს პრეზიდენტმა, დოქტორმა ა. ფრანკიმ (იტალია). — კიევში ყოფნით ბედნიერი ვარ და ევროპის ფეხბურთის ასოციაციის 36 წევრის სახელით მივესალმები ამ ტურნირის მონაწილეებს. როგორც ცნობილია, სუპერთასს ჯერჯერობით არა აქვს მოქალაქეობრიობის ოფიციალური უფლებები, მაგრამ ის ინტერესი და პატივისცემა, რომელიც გამოიწვია ახლანდელმა გათამაშებამ სპორტულ საზოგადოებრიობაში, უფლებას მაძლევს ვიმედოვნო, რომ სუპერთასი ახლო მომავალში დაკანონდება როგორც უეფა-ს მუდმივი ტურნირი. კიევში იყო არა მარტო კარგი, მაღალი კლასის მატჩი, არამედ ფეხბურთის ნამდვილი, დამაჯერებელი პროპაგანდაც.

— განსაკუთრებულ ქებას,—განაგრძო ფრანკიმ, — ჩემი აზრით, კიეველები იმსახურებენ. თავიანთი კარგად ორგანიზებული, კორექტული თამაშით მათ დაამტკიცეს, რომ შემთხვევით არ მოუპოვებიათ თასების თასი. „დინამო“ დიდ პოტენციურ შესაძლებლობათა გუნდია, რომელსაც ექსტრა-კლასის მოთამაშეები ჰყავს. თანამედროვე ტაქტიკის დონეზე, საუკეთესოდაა აწყობილი ყველა რგოლი.

— ფრანგული ჟურნალი „ფრანს-ფუტბოლი“ ყოველწლიურად ასახელებს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს. ვინ მიგაჩნიათ ახლანდელი სუპერთასის გათამაშების ფინალისტთაგან ამ წოდების პრეტენდენტად?

— ამ საკითხზე არავითარი ეჭვი არა მაქვს. შეიძლება არც დავასახელო გვარი.

— და, მაინც?

— ბლოხინი.

ს. ბელოვი,
ა. ლევინსონი.
(საკდესის კორ.).
კიევი.

მახარაძელები მზად არიან

დღეს მახარაძეში იწყება სოფლის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ფინალური ტურნირი „ოქროს თავთავის“ თასზე, რომელსაც უკვე მეათედ ატარებენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია. ამ შეჯიბრების მასშტაბებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან მასში მონაწილეობდა 50 ათასი გუნდის დაახლოებით მილიონი ფეხბურთელი.

მახარაძის რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ღირსეულად მოემზადნენ ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, მსაჯთა კოლეგია. ადგილობრივი სპორტული საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს ასპარეზობის მიმართ.

მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის გუნდთან ერთად ფინალურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს კიდევ ექვსი კოლექტივი: „კოლხოზ-ბაიკარი“ (აბოვიანის რაიონი, სომხეთი), კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა (ნიკოპოლის რაიონი, უკრაინა), ოსტანკინოს მეურნეობა (მოსკოვის ოლქი), რადიანსკა უკრაინის სახელობის კოლმეურნეობა (ხერსონის ოლქი, უკრაინა), აკურგანის მეურნეობა (ტაშკენტის ოლქი, უზბეკეთი), ალმა-ათის მეურნეობა (ალმა-ათის ოლქი, ყაზახეთი).

„ოქროს თავთავის“ ფინალური ტურნირი 17 ოქტომბრამდე გასტანს.

წილისყრა ხელახლა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა ხელახლა ჩაატაროს მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის წილისყრა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისთვის. ექვსმა ეროვნულმა ფედერაციამ პროტესტი განაცხადა ერთი თვის წინათ ჩატარებული წილისყრის თაობაზე. მაშინ გადაწყვიტეს ჯგუფებში „განეთესათ“ ბრაზილიის, ურუგვაისა და ჩილის გუნდები და, ამრიგად, დანარჩენებისთვის წინასწარ განეკუთვნებინათ აუტსაიდერთა როლი.

ვენესუელის, კოლუმბიის, პერუს, ეკვადორის, ბოლივიისა და პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციები მოითხოვენ სხვა საფუძველი დაედოს წილისყრას. ახლა სამხრეთ ამერიკის ჯგუფების განაწილება ხელახლა მოხდება ფიფა-ს მორიგ კონგრესზე, რომელიც ნოემბერში გაიმართება გვატემალაში. (საკდესი).

შეცდომამ დააზარალა

ფრუნზე, 7 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 35-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალის IV ტურში მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) თეთრებით ეთამაშა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს მ. ლისინსკაიას (ლვოვი). ესპანურ პარტიაში მაიამ ფიშერის ვარიანტი გაითამაშა და მცირე უპირატესობა მიიღო, მაგრამ მისმა გამოცდილმა მეტოქემ ფხიზელი მანევრებით გაათანაბრა პოზიცია და 27-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ყაიმზე შეთანხმდნენ მ. რანიკუ (ტალინი) — ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) და ბ. სამაგანოვა (ფრუნზე) — ლ. ბელავენეცი (მოსკოვი).

თ. ბელოვამ (ფსკოვი) მოუგო ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი).

სხვა პარტიები გადაიდო. ნ. გურიელმა (თბილისი) ლ. შჩერბინასთან (სევასტოპოლი) უფიმცევის დაცვაში უპირატესობა მოიპოვა (პაიკი მოიგო), მაგრამ შემდგომ ვერ შეძლო მისი რეალიზება, უფრო მეტიც, შეცდა და პარტია უარეს მდგომარეობაში გადადო.

უკეთეს პოზიციაში აქვთ გადადებული პარტიები ტ. ფომინას (ტალინი) — ნ. მედიანიკოვასთან (მოსკოვი), ა. გრინფელდს (კალინინგრადი) — გ. კოზლოვსკაიასთან (პიატიგორსკი), გ. ფატალიბეკოვას (მოსკოვი) — ლ. კრისტოლთან (ლენინგრადი), ლ. საუნინას (სვერდლოვსკი) — ე. ახმილოვსკაიასთან (კრასნოიარსკი).

4 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ა. გრინფელდი — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ჩიბურდანიძე, ლ. შჩერბინა, ლ. ბელავენეცი, ნ. მედიანიკოვა, ტ. ზატულოვსკაია — 2-2 (1-1).

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

„ჭადრაკი“ № 8-9.

გამოვიდა გამომცემლობა „განათლების“ მეთოდური ბიულეტენი „ჭადრაკი“ № 8-9.

როგორც ყოველთვის, ბიულეტენში ძირითადი მასალები განაწილებულია განყოფილებებში: „პარტიები და ფრაგმენტები“, „დებიუტების თეორია“, „საკონსულტაციო მეთოდური კუთხე“ და „კომპოზიცია“.

ვინაიდან ბიულეტენი ორ ნომერს აერთიანებს, მასში ერთადაა თავმოყრილი 1974 და 1975 წლების ტურნირებისა და მატჩებისადმი მიძღვნილი მასალები.

შარშან ფიდე-ს 50 წლისთავი აღინიშნა, ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა გაიმარჯვეს ქალთა ოლიმპიადაში (კოლუმბია), გაიმართა ვ. გოგლიძისა და ვ. ქარსელაძის III მემორიალები, ლიუბლინსა და დეჩინში თავი ისახელა თბილისელმა ოსტატმა თ. გიორგაძემ და სხვ. ყველა ეს შეჯიბრება ბიულეტენში სათანადოდაა წარმოდგენილი.

1975 წლის პირველი ნახევრის საჭადრაკო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა ნ. ალექსანდრიას გამარჯვება ი. ლევიტინასთან მატჩში. ბიულეტენში არის ამ ორთაბრძოლაზე ნ. ალექსანდრიასა და მისი მწვრთნელის ბ. გურგენიძის ინტერვიუ და მატჩის რამდენიმე კომენტირებული პარტია.

ბიულეტენში მკითხველს უთუოდ დააინტერესებს წერილები „ზურაბ სტურუას წარმატება“, თ. კიკიანის „ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი დღე“, ე. უბილავას „მოსწავლის ტრიუმფი“, ს. მეგრელიშვილის „მოსწავლეთა საკავშირო პირველობა“ და სხვ.

ფართოდაა გაშუქებული კომპოზიციის საკითხები. აქ არის „საქართველოს II პირველობა“, „დიალოგი სსრ კავშირის ჩემპიონთან“ (ტყიბულელ გ. სავჩენკოსთან), „ეტიუდის პატრიარქი“ (ეტიუდისტი ა. გერბსტმანი 75 წლისაა) და სხვ.

ამ განყოფილებაში დასტამბულია, აგრეთვე, საქართველოს კომპოზიტორთა ამოცანები და ეტიუდები.

უხდება სხეულსაც და სულსაც

დასასრული

ასეთ მოზარდებს ერთი შეხედვით მიმზიდველი, ძლიერი აღნაგობა აქვთ. მაგრამ სინამდვილეში ნაკლებად ამტანი არიან და, არცთუ იშვიათად, კარგი ჯანმრთელობითაც არ გამოირჩევიან.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ სახის ვარჯიში დაუშვებელი იყოს. აღნიშნული იარაღებით ვარჯიში შეიძლება და საჭიროცაა, მაგრამ უნდა ჩატარდეს სხვა სახის ვარჯიშებთან ერთად. ასეთ ვარჯიშად ბადმინტონიც მიმაჩნია, რადგან მისი თამაშის დროს აქტიურად მოძრაობს თითქმის მთელი ორგანიზმი. ამ მხრივ ბადმინტონი თამამად შეიძლება გავუტოლოთ სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა კალათბურთი, მძლეოსნობა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბადმინტონი არ მოითხოვს დიდ ტერიტორიას, მისი თამაში შეიძლება სკვერში და ეზოებში. ზოგიერთის აზრით, იგი მარტივი თამაშია. მაგრამ, როგორც კოსმონავტი ი. გაგარინი აღნიშნავდა, სპორტული ბადმინტონი ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით უპირველესი სპორტია და უდიდესი როლის შესრულება შეუძლია მოზარდის ფიზიკური სრულყოფისთვის.

გ. სამსონაძე,
საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

საფრანგეთი

მორიგ ტურში ჩემპიონი „სენტ-ეტიენი“ შინ შეხვდა გათამაშების ლიდერს — „ნიცას“. მატჩი საკმაოდ უინტერესო გამოდგა და ფრედ დამთავრდა — 1:1. აღსანიშნავია, რომ მინდორზე საუკეთესონი იყვნენ იუგოსლაველი მოთამაშეები — მეკარე ჩურკოვიჩი („სენტ-ეტიენი“), მუსემიჩი და კატალინსკი („ნიცა“).

„რეიმსმა“ თავის სტადიონზე აჯობა ლიონის „ოლიმპიკს“ — 3:2, ხოლო მარსელის „ოლიმპიკმა“ ასევე შინ ამავე ანგარიშით სძლია „ტრუას“.

მოწინავე ოთხეული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნიცა“	7	5	2	0	22.6	16
„ოლიმპიკი“ (ლიონი)	8	5	1	2	20:13	13
„ოლიმპიკი“ (მარსელი)	8	6	0	2	20.16	13
„სენტ-ეტიენი“	8	3	4	1	14:10	11

პორტუგალია

მორიგი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა ჩემპიონი — ლისაბონის „ბენფიკა“, რომელმაც კოიმბრაში დაამარცხა ადგილობრივი „აკადემიკა“ — 4:2. ლისაბონელთა მხრივ ორი გოლი ჟორდაუმ გაიტანა.

ყოფილმა ლიდერმა „სპორტინგ ბრაგამ“ შინ ქულა დაკარგა სეტუბალის „ვიტორიასთან“ — 0:0. „ბოავისტამ“ საკუთარ მინდორზე სძლია ლისაბონის „ატლეტიკოს“ — 4:3. ლისაბონის „სპორტინგმა“ ასევე შინ აჯობა „ესტორილს“ — 2:1.

	თ.	ბ.	ქ.
„ბენფიკა“	4	15:3	7
„სპორტინგ ბრაგა“	4	6:3	7
„ბოავისტა“	4	9:4	6

უნგრეთი

ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ თავის სტადიონზე სძლია „სეგედს“ — 1:0. გოლი გაიტანა ნილაშიმ.

ჩემპიონმა „უიპეშტ დოჟამ“ შინ გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა „დიოშდიერი“ — 7:2. ოთხი გოლი გაიტანა ჩემპიონის თავდამსხმელმა ფაზეკაშმა.

ბუდაპეშტში „ჰონვედმა“ მოუგო მტკ-ს — 5:1. ორი ბურთი გაიტანა არმიელმა პინტერმა.

I ლიგის დებიუტანტმა „კაპოშვარმა“ შინ ფრედ ითამაშა სეკეშფეჰერვარის „ვიდეოტონთან“ — 3:3.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფერენცვაროში“	7	6	0	1	20:9	12
„ვიდეოტონი“	7	4	2	1	17:9	10
„უიპეშტ დოჟა“	7	5	0	2	18:13	10
„ჰონვედი“	7	4	1	2	18:13	9

ბულგარეთი

ჩემპიონმა — სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ“ ვარნაში მოუგო ადგილობრივ „სპარტაკს“ (2:1) და ლიდერობა იგდო ხელთ. ანგარიში 39-ე წუთზე გახსნა მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მალინოვმა, მაგრამ დარჩენილ დროში არმიელებმა დენევმა და სრედკოვმა თავიანთს გუნდს გამარჯვება მოუტანეს.

თასის მფლობელმა—სოფიის „სლავიამ“ შინ უფერულად ითამაშა და ქულა დაკარგა „პირინთან“ — 0:0.

„აკადემიკმა“ (სოფია) თავის მინდორზე მოუგო პლოვდივის „ლოკომოტივს“ — 3:0.

	თ.	ბ.	ქ.
ცსკა-„სეპტემ. ზნ.“	6	9:5	9
„სლავია“	6	14:8	8
„აკადემიკა“	6	12:7	8
„თრაკია“ (პლოვდივი)	6	7:5	7

იუგოსლავია

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ სტუმრად წააგო „ჩელიკთან“ (0:2), მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა. ბელგრადის ოფკ შინ დამარცხდა ზაგრების „დინამოსთან“ — 0:4. ჩემპიონმა — სპლიტის „ჰაიდუკმა“ საკუთარ მინდორზე აჯობა სარაევოს „ჟელეზნიჩარს“ — 5:1.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ცრვენა ზვეზდა“	8	7	0	1	18:4	14
„ჰაიდუკი“	8	4	3	1	11:6	11
ოფკ	8	5	0	3	11:13	10

(საქ. ინფ.).

დეინას რეკორდი

ამასწინანდელი მატჩი პოლანდიის ნაკრებთან, პოლონელთა ეროვნული გუნდის კაპიტან დეინასთვის 68-ე იყო თავის კოლექტივში. ამით მან გააუმჯობესა ცნობილი თავდამსხმელის ლიუბანსკის რეკორდი ქვეყნის ნაკრებში გამოსვლებით.

ასე ფიქრობს რივერა

„მილანის“ პრეზიდენტად არჩეულმა ჯ. რივერამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სულაც არ აპირებს თავი დაანებოს თამაშს. ფეხბურთის ისტორიაში პირველი „მოთამაშე-პრეზიდენტი“ კიდევ ორი სეზონის ჩატარებას აპირებს.

რივერამ თქვა, რომ „მილანის“ მწვრთნელად ისევ ნ. როკოს მოიწვევს და დაითხოვს ჯიოვანიონის.

შიონის იუბილე

ამას წინათ აღნიშნეს გფრ-ის ნაკრების მწვრთნელის ჰელმუტ შიონის იუბილე.

როგორც იუბილარმა ჟურნალისტებს განუცხადა, მან გადაწყვიტა თავის პოსტზე კიდევ სამ წელს დარჩეს. შიონი ნაკრებს მხოლოდ მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვება.

ნუნიესის განცხადება

ბრაზილიის სპორტული კონფედერაციის პრეზიდენტმა ნუნიესმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

— თუ ნოემბერში ფიფა-ს კონგრესი (იგი გვატემალაში უნდა გაიმართოს. — რედ.) დაადგენს, რომ არგენტინას არ შეუძლია 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მოაწყოს რაიმე მიზეზის გამო, ბრაზილია თანახმაა ჩაატაროს ეს შეჯიბრება.

ნუნიესმა ისიც თქვა, რომ მისი ფედერაცია ბოლომდე დაეხმარება არგენტინას და თავის კანდიდატურას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში წარადგენს.

სკიაფინო — ურუგვაელთა მწვრთნელი

როგორც მონტევიდეოში გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ურუგვაის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა წარსულში განთქმული თავდამსხმელი ხუან სკიაფინო.

სკიაფინომ დიდად გაითქვა სახელი 1950 წელს, როცა მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. შემდგომ იგი დიდ ხანს თამაშობდა იტალიის „მილანსა“ და „რომში“.

როდის და როგორ დავიწყოთ?

ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე საზღვარგარეთ მკვეთრად იმატა ბალახის ჰოკეის შესახებ ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვებამ. ამ სახეობას სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა სპორტული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ბევრგან (ინდოეთი, პაკისტანი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, გფრ, ესპანეთი და სხვ.) რეგულარულად გამოდის სპეციალიზებული ჟურნალები ბალახის ჰოკეის შესახებ. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის სსრ კავშირშიც, პერიოდულად ტარდება სპორტის ამ სახეობის სპეციალისტთა სემინარები, კონფერენციები და სიმპოზიუმები.

დედამიწაზე ამ უძველესი სპორტული თამაშისადმი (ისტორიკოსები მას თითქმის 4000 წელს აძლევენ) ესოდენ დიდი ინტერესი რამდენიმე გარემოებითაა განპირობებული. ბოლო რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვნად იმატა ბალახის ჰოკეიში საერთაშორისო და ეროვნული შეჯიბრებების რიცხვმა. ამ სახეობაში ტარდება ოლიმპიური შეჯიბრებები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები, აზიის, პანამერიკული, აფრიკის თამაშები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ავსტრალიის, აღმოსავლეთ აფრიკის, სოციალისტური ქვეყნების რეგიონალური ტურნირები, თასის გათამაშებები ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში.

ყოველივე ამან ბალახის ჰოკეი თანამედროვე სტანდარტების დონეზე დააყენა, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნები გუნდებისა და ცალკეული ჰოკეისტების ოსტატობისადმი. ამჟამად ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (ფიხ-ი) 73 ქვეყანას აერთიანებს. ფიხ-ს განსახილველი აქვს კიდევ ბევრი განცხადება. იაპონელი პროგრამისტების მონაცემებით, ხუთი ან შვიდი წლის შემდეგ ფიხ-ი გააერთიანებს ას ეროვნულ ასოციაციას მაინც. იაპონურმა ელექტროგამომთვლელმა მანქანამ ივარაუდა ისიც, რომ XX საუკუნის დამლევისთვის ბალახის ჰოკეი პოპულარობით მიუახლოვდება ფეხბურთს და უთუოდ ჩამოიტოვებს ბევრ სხვა სპორტულ თამაშს.

ზოგიერთი სპორტული გამოცემის ბოლო ნომრებში გამოქვეყნებული მასალები ეძღვნება ბალახის ჰოკეიში ყველაზე ნაკლებად დამუშავებულ პრობლემას (თუმცა ეს ბევრ სხვა სახეობასაც ეხება): როდის და როგორ დავიწყოთ მეცადინეობა? თამაშის განვითარებამ და მისი პოპულარობის ზრდამ ეს პრობლემა ყველაზე აქტუალურ საკითხთა შორის დააყენა. რატომღაც დღესაც ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ საკმარისია ფეხბურთელებმა, ხელბურთელებმა თუ „ზამთრის“ ჰოკეისტებმა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ბალახის ჰოკეის და მაშინვე მედლების წვიმა წამოვა. მაგრამ, თუ მსგავსი რამ მოხდა, ეს მხოლოდ დროებითი, წარმავალი წარმატება იქნება. 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. უძლიერესებმა (ინდოეთისა და პაკისტანის ნაკრები გუნდები) პოზიციები დაიბრუნეს, მათ კი, ვინც 1972-73 წლებში დროებით უკან დასწია აზიის გუნდები, მეორე პლანზე გადაინაცვლეს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის კოლექტივები).

მაშ ასე, როდის და როგორ დავიწყოთ? ჩემი აზრით, ბოლო ხანებში ამ პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნებული მასალებიდან ყველაზე საყურადღებოა ჟურნალ „ეფრიკან უინერის“ მაისის ნომერში დაბეჭდილი ს. უიგმორის წერილი. უიგმორი ბალახის ჰოკეის ინგლისური ასოციაციის მწვრთნელი და ლოფბოროს კოლეჯში სპორტული თამაშების უფროსი ლექტორია. გარდა ამისა, მას უკავია ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მწვრთნელ-კონსულტანტის პოსტი, ეხმარებოდა ა. რამსეის 1968-73 წლებში ქვეყნის ნაკრების მომზადებაში, ამზადებდა დიდი ბრიტანეთის ეროვნულ გუნდს ბალახის ჰოკეიში მეხიკოს 1968 და მიუნხენის 1972 წლების ოლიმპიური თამაშებისთვის, აგრეთვე, 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. გავეცნოთ ინგლისელი სპეციალისტის მთავარ მოსაზრებებს ზემოხსენებული პრობლემის შესახებ.

ბალახის ჰოკეი მაღალტექნიკური თამაშია და ახალბედებისგან მოითხოვს სრულ ერთგულებას არჩეული სახეობისადმი, ყოველდღიურ გულმოდგინე წვრთნას. მეცადინეობის დაწყება კარგია ბავშვობის ასაკიდან, რაც შეიძლება ადრე, რათა ყვანჯთან დაკავშირებული ყველა მანიპულაცია ბუნებრივ პროცესად იქცეს. თავდაპირველად საჭიროა ყვანჯის თავისუფლად ხმარებაში დაოსტატება. ბალახის ჰოკეიში წარმატებას განაპირობებს ბურთის გაკონტროლების, მისი სხვადასხვა სიჩქარით ტარების, სხვადასხვა მანძილზე გადაცემის, მძლავრად და ზუსტად დარტყმის უნარი.

პირველ ყოვლისა უნდა ვისწავლოთ ყვანჯის ზედა მხარის მოხმარება. ამას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელით სწორად გვიჭირავს ყვანჯის სახელური. ხელისა და ყვანჯის ურთიერთმდებარეობა გამუდმებით იცვლება თამაშის სიტუაციების შესაბამისად. მარცხენა ხელი მაკონტროლებელია და გამუდმებით უნდა გვედოს ყვანჯის სახელურის ბოლოზე ან მის ახლოს. მარჯვენა ხელი თავისუფლად მოძრაობს ზევით და ქვევით ყვანჯის სახელურზე.

ახალბედები ცდილობენ რაც შეიძლება მაგრად ჩაავლონ ყვანჯს მარჯვენა ხელი. ეს ჩვევა რაც შეიძლება მალე უნდა მოვიშოროთ. როცა მარჯვენა ხელი დაჭიმული არ არის, ყვანჯი უფრო ზუსტად და თავისუფლად მოძრაობს. როცა ამას მივაღწევთ, შეიძლება ვიზრუნოთ შებრუნებული ყვანჯით თამაშის დაუფლებისთვისაც.

ამასთან, ყვანჯის სახელურზე ხელის მტევნების მდებარეობა უცვლელი რჩება, ისევე როგორც თვით ყვანჯის ზედა მხარის მართვა. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია რეგულარული წვრთნა. უნდა გვახსოვდეს, რომ მეტოქეს მაშინ უფრო უჭირს, როცა ბურთი მისგან მარცხნივაა.

ტექნიკისა და ყვანჯის ფლობის თვისებების გაუმჯობესებასთან ერთად უნდა გაიზარდოს მოძრაობის, ცრუ მოძრაობის, დრიბლინგისა და დარტყმის სისწრაფეც. ბურთით მოძრაობის დროს აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ყვანჯის ზედაპირი მუდამ ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა იყოს. საწვრთნელ მეცადინეობებზე უნდა გამოვიყენოთ ყვანჯით მოძრაობის ყველა სახე. დრიბლინგის დამუშავების დროს ძირითადად უნდა იქცეს ზიგზაგისებური მოძრაობა: ბურთის ტარება უნდა ავითვისოთ ბურთის შეჩერების ხერხებთან ერთად.

ყვანჯის ფლობის ილეთების დამუშავება უნდა დავიწყოთ, და რაც შეიძლება ადრე მეტოქის მხრიდან წინააღმდეგობის პირობებში. თამაშის საფუძველი გადაცემაა. ეს არ უნდა დავივიწყოთ. გადაცემის დროს ბურთი უნდა გადავიტანოთ მარჯვენა ფეხისკენ და შემდეგ — დასახული მიზნისკენ. მარცხნივ გადაცემისთვის მოთამაშემ ბურთის ხაზი მარცხენა ფეხით უნდა გადაკვეთოს და ბურთი გადასცეს მარცხენა ხელიდან. გადაცემის მიმღებმა ისეთი პოზიცია უნდა დაიკავოს, რომ ბურთი უფრო მარჯვედ მიუვიდეს. ამასთან, ბურთის მიღება საჭიროა ყვანჯის ზედა მხარით.

უიგმორს როგორც სწავლების საწყის სტადიაში, ისე სრულყოფის დროს უაღრესად სასარგებლოდ და აუცილებლად მიაჩნია კვადრატში, მინდვრის მეოთხედზე ან ნახევარზე თამაში ვარიანტებით 3×4, 4×4, 5×5 ან 7×7. მცირე შემადგენლობით თამაშის მონაწილეთა განლაგება სქემაზეა ნაჩვენები. ინგლისელი სპეციალისტის აზრით, ასეთი საწვრთნელი თამაშივარჯიში ხელს უწყობს უფრო სწრაფ სრულყოფას როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით, ავითარებს მინდვრის „დანახვის“ უნარს და მონაწილეებს ეხმარება კომბინაციის გათამაშებაში. გარდა ამისა, „მცირე თამაში“ უფრო მიმზიდველია მომეცადინეთათვის, ვინაიდან გამორიცხავს წვრთნის მონოტონურობას, ყველა მონაწილე გამუდმებით ჩაბმული ჰყავს მოქმედებაში. იგი ხელს უწყობს აგრეთვე გუნდის სათამაშო რგოლების შექმნას, ურთიერთგაგებას, ყოველივე ამის შემდეგ უფრო იოლია დიდ მინდორზე გადასვლა. „მცირე თამაში“ თვითმიზნად არ უნდა იქცეს. იგი მუდამ მატჩის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს.

„მცირე თამაშის“ დიაგრამა



უცხოელი სპეციალისტები დიდ ყურადღებას აქცევენ იმასაც, რომ მეცადინეობა კარგად მომზადებულ მინდორზე ტარდებოდეს. უსწორმასწორო, უსუფთაო, სველი მინდორი ხელს უშლის წვრთნის მაღალ დონეზე ჩატარებას და კლავს მომეცადინეთა ენთუზიაზმს.

ამ ბოლო ხანს საკავშირო ფედერაციას ძალიან ბევრი წერილი მოსდის. გვთხოვენ ავუხსნათ, როდის და როგორ სჯობს ბალახის ჰოკეიში მეცადინეობის დაწყება. დღევანდელი წერილის მიზანიც ის იყო, რომ შეძლებისდაგვარად მოკლედ გაგვეცა პასუხი მათს შეკითხვებზე.

ა. ლეიკინი,
ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კოორდინაციის, პროპაგანდისა და პრესის კომიტეტის წევრი.

სადღესასწაულო მარათონი

უფრო ხშირად ცოლი და ქმარი ერთად ცხოვრების წლისთავებს აღნიშნავენ ახლობლებთან ერთად სადღესასწაულო მაგიდასთან. პერუს დედაქალაქ ლიმაში მცხოვრებმა გილმერო როდრიგეს ფალკომ და რაკელ როდრიგეს როდრიგესმა ასეთი მორიგი თარიღი აღნიშნეს 28-კილომეტრიანი მარათონით. ამ დღეს სირბილის მოყვარულთა კლუბის სხვა წევრებთან ერთად 64 წლის გილმერომ და მისმა 58 წლის მეუღლემ რაკელმა გაიარეს ლიმის ქუჩები და გზა დედაქალაქის ერთ-ერთ პლაჟზე დაამთავრეს.

ცოლ-ქმარი ყოველდღიურად 5 კილომეტრს გადიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ამ გასეირნების წყალობით სიმხნევეს ინარჩუნებენ და ადვილად ებრძვიან ყოველგვარ უქეიფობას.

ფეხით სიარულის კეთილმყოფელობაზე ასეთივე აზრისაა 80 წლის ესეკიელ უერტა უერტა, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს 5 კილომეტრზე მეტს გადის. „მას შემდეგ, რაც მე დავიწყე ფეხით სეირნობა — ამბობს ის, — ყველა ავადმყოფობამ უკან დაიხია, წამლებზე კი ფიქრიც შევწყვიტე“.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, „დინამოს“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე

აბესალომ კონსტანტინეს ძე ჩოგოვაძე.

დაკრძალვა ქუთაისში 11 ოქტომბერს 15 საათზე. გამოსვენება ქალაქის ცენტრალური სპორტდარბაზიდან — როძევიჩის ქ. № 2-ა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66418
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 12119